საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 9 11 იანვარი 2019 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილების - ,,სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" მიღებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილების ,,სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" მიღებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 106[1] მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106[2] მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 106[5] მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 11 იანვარს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე - ,, სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ") მისაღებად ადნისტრაციული წარმოება.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და შესაბამისი პროექტი.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2019 წლის 11 თებერვლამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამარტლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 21 იანვრამდე.
5. ,, სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" - დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიას.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების თავმჯდომარეს - ბადრი ხურციას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საკრებულოს აპარატის უფროსი - ვეფხვია რუსიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: კახაბერი რუსია